საქართველოს მთავრობის განკარგულება

№154 2018 წლის 22 იანვარი ქ. თბილისი

„სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევის" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 31 მარტის №536 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევის" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 31 მარტის №536 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული გზამკვლევის:

ა) 3.2.4 პარაგრაფს დაემატოს ახალი 3.2.4.3 პარაგრაფი, დანართ №1-ის შესაბამისად;

სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების სააგენტო
შემოსვლის № 751
„24" 01 2018

ბ) 4.1 პარაგრაფს დაემატოს ახალი ნაწილი – „საჯარო და კერძო თანამშრომლობის ორგანო“, დანართ №2-ის შესაბამისად;

გ) დანართში არსებული ცხრილის მე-4 განყოფილება („IV ფაზა – 2021 წლის სექტემბერი (იხ. ასოციირების შეთანხმების დანართი: XVI-H (I) და XVI-I)“) ჩამოყალიბდეს დანართ №3-ის შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

საქართველოს მთავრობის
2018 წლის 22 იანვრის
№154 განკარგულების
დანართი

„დანართი №1

3.2.4.3. კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ

IV ფაზაში საკანონმდებლო დაახლოების მიზნით, ასოციირების შეთანხმების XVI დანართის მე-4 ფაზის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს კანონს საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ. კანონით განსაზღვრული იქნება საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძვლები, ცნება და მიზანი, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების პროცესი, ასევე საჯარო და კერძო თანამშრომლობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. კანონი დაეყრდნობა საჯარო და კერძო თანამშრომლობის შემდეგ პრინციპებს: გამჭვირვალობა, განჭვრეტადობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, ხარისხის ფასთან თანაფარდობა, რისკების ოპტიმალური განაწილება, ფისკალური პასუხისმგებლობა, გარემოს დაცვა და სოციალური მდგრადობა. კანონის მიღების შედეგად უზრუნველყოფილ იქნება საჯარო და კერძო თანამშრომლობის ინსტიტუციური ჩარჩოპირობები.

დანართი №2

საჯარო და კერძო თანამშრომლობის ორგანო

საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონით განისაზღვრება შესაბამისი ორგანო, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების შემუშავების პროცესში და დახმარებას გაუწევს უფლებამოსილ ორგანოებს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებთან დაკავშირებით.".

IV ფაზა - 2021 წლის სექტემბერი (იხ. ასოციირების შეთანხმების დანართი XVI-G, XVI-H და XVI-I)	საკანონმდებლო დაახლოება (იხ. გზამკვლევის თავი 3.2.4.1., 3.2.4.2. და 3.2.4.3.)	სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება	საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და მიღება	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტი	II კვარტ. 2021
		ზემოაღნიშნული ცვლილებების იმპლემენტაციის მიზნით შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მიღება	მომზადება და მიღება	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო საქართველოს მთავრობა	III კვარტ. 2021
	ინსტიტუციური შესაძლებლობებ-ის განვითარება (იხ. გზამკვლევის თავი 4.)	ცენტრალიზებული შესყიდვების ახალი ინსტიტუციური ჩარჩოს შემუშავება	სააგენტოსთვის ცენტრალიზებული (კონსოლიდირებული) შესყიდვის პროცედურების ორგანიზებისა და განხორციელების ფუნქციების ჩამოშორების საკითხის გადაწყვეტა	საქართველოს მთავრობა	III კვარტ. 2021
			ცენტრალიზებულ შესყიდვაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციის შექმნა (ახალი ან რომელიმე ინსტიტუციის ნაწილი)	საქართველოს მთავრობა	III კვარტ. 2021

		ტრენინგი სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში შემავალი ინსტიტუციების თანამშრომლებისათვის (სააგენტო და ა. შ.)	ტრენინგი ევროკავშირის შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების თემაზე საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების მიზნით. განხორციელდება სხვადასხვა საერთაშორისო დონორთა ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	2020[1]
			შიდა ტრენინგი (ვორკშოპი, სემინარი და ა.შ.) საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	II - III კვარტ. 2021
		ტრენინგი შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის	საჭიროებაზე მორგებული სასწავლო პროგრამის შემუშავება	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	II კვარტ. 2021
			საჭიროებაზე მორგებული ტრენინგის დაწყება (უწყვეტი აქტივობა)	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	III კვარტ. 2021
		განხორციელების სხვადასხვა ინსტრუმენტის (ინსტრუქცია, სახელმძღვანელო, მითითება) შემუშავება საკანონმდებლო სიახლეების შესახებ	ინსტრუქციების, სახელმძღვანელოებისა და მითითებების შემუშავება და ელექტრონულად გამოცემა	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	III კვარტ. 2021
	ელექტრონული შესყიდვა	ერთიანი ელექტრონული სისტემის განახლება	ტექნიკური სპეციფიკაციის დამუშავება IT პლატფორმის განახლებისათვის	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	II კვარტ. 2021

[1] შესაძლოა ტრეინინგების ჩატარება მოთხოვნილ იქნეს 2018 წლიდან.

	(იხ. გზამკვლევის თავი 5.2.)				
			IT პლატფორმის განახლება	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	III კვარტ. 2021
			სისტემით სარგებლობის შესახებ სახელმღვანელოს/ინსტრუქციების განახლება	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	III კვარტ. 2021